N ხელშ-77
13/04/2022

77-1-4-202204131008

ხელშეკრულება

ერთის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ს/კ 249250466), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის მანონა გეჯუას სახით, (შემდგომში "**შემსყიდველი"**) და, მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი ირაკლი მიქიაშვილი (პ/ნ 62001003554) (შემდგომში **„მიმწოდებელი")** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია CPV – 79341000 - სარეკლამო მომსახურებები. კერძოდ, 40 წამი ხანგრძლივობის საინფორმაციო გრაფიკული 3D რგოლის დამზადება (ხმის ჩაწერა, აუდიო მიქსინგი, მუსიკალური გაფორმება, გრაფიკული რგოლის დამზადება) სოციალურ მედიაში განსათავსებლად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. **მომსახურება და საქონელის** საერთო ღირებულება შეადგენს **1275 (ერთი ათას ორას სამოცდათხუთმეტი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით.

N	მომსახურების დასახელება	ფასი ლარი
1	ხმის ჩაწერა	250
2	აუდიო მიქაინგი და მუსიკალური გაფორმება	100

3	გრაფიკული რგოლის დამზადება	650
	საშემოსავლო გადასახადი	275
სულ:		**1275**

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე ორივე მხრის მიერ ხელმოწერიდან **10 სამუშაო** დღის განმავლობაში.

4. მიღება - ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის საკითხთა სამმართველოს მეორე კატეგორიის სპეციალისტი თამარ ადეიშვილი

4.2. **მომსახურება და საქონელი** მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. **მომსახურება და საქონელის** მიწოდების ადგილია : ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი # 16, მე-6 სართული;

5.2 **მომსახურება და საქონელის** მიწოდება განხორციელდება **2022 წლის 20 აპრილამდე.**

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული **მომსახურება და საქონელის** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს **მომსახურება და საქონელის** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს **მომსახურება და საქონელის** მიწოდება ჯეროვნად, კეთისინდისიერად და სრული მოცულობით, ასევე პასუხისმგებელია **მომსახურება და საქონელის** ხარისხზე და ვარგისიანობაზე.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის

ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 30 მაისამდე.**

12. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი :

ფიზიკური პირი ირაკლი მიქიაშვილი

პ/ნ 62001003554

მისამართი: წავკისი, რუსთაველის 96

ბანკი: სს „თ-ბი-სი ბანკი“

კოდი: TBGBGE22

ა/ა GE08TB7032645061600017

ფიზიკური პირი ირაკლი მიქიაშვილი

შემსყიდველი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისადა და
სოციალური დაცვის სამინისტრო

მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გმზ. N16

საიდენტიფიკაციო კოდი: 249250466

საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში

მანონა გეჯუა

მინისტრის მოადგილე